დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის“

დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის

2025 წლის 14 თებერვლის N 22 „ო“ ბრძანებით

კოლეჯში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - კოლეჯი ,,ერქვანის“ უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი არეგულირებს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა მიერ წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს.

მუხლი 2. უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექანიზმები

1. კოლეჯში დღის განმავლობაში გაკვეთილების პერიოდში, პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოებას და წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფი და მორიგე მასწავლებლი.

2. სტუდენტის მხრიდან ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში (ჩხუბი, კოლეჯის ინვენტარის დაზიანება, წესრიგის დარღვევა, უხამსი საქციელი, ბილწსიტყვობა და სხვა) კოლეჯის თანამშრომელი, რომელმაც აღმოაჩინა დარღვევა, ადმინისტრაციის შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომელთან (იურისტი) ერთად ადგენს ოქმს, სადაც აღწერილია დარღვევის არსი, დამრღვევის მონაცემები (გვარი, სახელი, პირადი ნომერი, სპეციალობა, ჯგუფი), დამრღვევის ახსნა-განმარტება. შედგენილი ოქმი განსახილველად გადაეცემა დისციპლინურ კომიტეტს/კოლეჯის ადმინისტრაციას, რომელიც ხელმძღვანელობს კოლეჯის შინაგანაწესით/ეთიკის კოდექსით.

4. კოლეჯის სასწავლო-ადმინისტრაციულ შენობას იცავს 24 საათის განმავლობაში, საშტატო ერთეულით გათვალისწინებული დარაჯები 3 ცვლიანი რეჟიმით.

მუხლი 3. დარაჯის უფლება მოვალეობები უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მიზნით

1. საშტატო განრიგის შესაბამისად, კოლეჯის სადღეღამისო ცვლაში დასაქმებული დარაჯი უზრუნველყოფს აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით კოლეჯში წესრიგის დაცვას.

2. დარაჯის უფლებები და მოვალეობები წესრიგის დაცვის მიზნით:

ა) კოლეჯში განთავსებული მატერიალური ფასეულობების (ქონება) დაცვის უზრუნველყოფა, ყველა აუცილებელი და შესაძლო ზომის გამოყენება მათი დაზიანების/განადგურების თავიდან ასაცილებლად;

ბ) ნებისმიერი მატერიალური ნივთის გატანა-შემოტნაზე კონტროლი შესაბამისი ჟურნალის წარმოების გზით;

გ) უცხო პირების (ვიზიტორების) აღრიცხვა, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს პირადობის ან მართვის მოწმობის წარდგენა, ზოგადად დაადგინონ ვიზიტის მიზანი და ადრესატი, ვიზიტის მიზნის მითითებით შესაბამის ჯურნალში (დანართი 2).

დ) პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულ პირთა გარდა, სხვა პირთა კოლეჯის ტერიტორიაზე შემოშვება დასასვებია მხოლოდ კოლეჯის ადმინისტრაციის ნებართვით;

ე) კოლეჯის ტერიტორიაზე (შენობა, ეზო) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;

ვ) წესრიგის დარღვევის, ავარიული ან სხვა საგანგებო მდგომარეობის შექმნისას დაწესებულების ხელმძღვანელისთვის ან დირექციის სხვა წარმომადგენლისათვის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება;

ზ)კოლეჯის შენობის დაცვის ოთახში განთავსებული, მასზე მინდობილი კანცელარიის, ადმინისტრაციის კაბინეტების, ბიბლიოთეკის, სხვადასხვა აუდიტორიებისა და სასწავლო სახელოსნოების გასაღებების უსაფრთხოდ შენახვის უზრუნველყოფა.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე წესში ცვლილებების და /ან დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით-ბრძანებით.

დანართი 1

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფი	
1	ხარისხის მართვის მენეჯერი
2	სასწ.პროცესისა და საწარმოო სწავლების მენეჯერი
3	პროფორიენტაციისა და კარიერის მენეჯერი
4	იურისტი

დანართი 2

უცხო პირების (ვიზიტორების) აღრიცხვა და მატერიალური ნივთის გატანა-შემოტნაზე კონტროლი

№	სახელი გვარი	პირის/ვიზიტორის მონაცემები(პ/ნ ტელეფონი)	შემოსვალა გასვლის თარიღი/დრო		ვიზიტის ადარესატი/ტვირთის დასახელება	სადღეღამისო მორიგის ხელმოწერა
			შემოვიდა	გავიდა		
1						
2						
3						